ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302218153**
თარიღი: **30/06/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივეტიზებისას მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული აუქციონატორის მიერ იგეგმება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N43 განკარგულებაში ასახული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული შპს „ფეხბურთის კლუბი-ლანჩხუთის გურია“ - ს (ს/ნ 433651461) 100 %-იანი წილი) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზირება.

ვინაიდან „ფეხბურთის კლუბი-ლანჩხუთის გურია“ - ს მიმართ არსებობს ლანჩხუთის მოსახლეობის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება წილის პრივატიზების ძირითად პირობებთან დაკავშირებით.

იმისათვის რომ ხელი არ შეეშალოს ფეხბურთის კლუბის ფუნქციონირებას, გთავაზობთ პროექტი განიხილოთ და დაამტკიცოთ დაჩქარებული წესით, რისთვისაც მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით: ,,ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივეტიზებისას მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ“.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ომარ ჯანაძის კანდიდატურას.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი:**08-302218143**
თარიღი: **30/06/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის

ომარ ჯანაძის

მოხსენებითი ბარათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N 43 განკრგულებით დამტკიცებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი, მოძრავი ქონების და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიკუთვნებული წილების და აქციების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის განკარგულებაში ცვლილება.

იგეგმება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული შპს „ფეხბურთის კლუბი-ლანჩხუთის გურია“ - ს (ს/ნ 433651461) 100 %-იანი წილის პირობებით გასხვისება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის „ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისსა და პრივატიზაციის გეგმის“ შესაბამისად, ხოლო ამავე დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად აუქციონის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ ბეს ოდენობის შესახებ, რომელიც უნდა შეადგენდეს საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10% და არაუმეტეს 80 %-ს, ხოლო მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად აუქციონის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ბიჯის სიდიდეს.

წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და

სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებას, აუქციონზე გასატანი ქონების - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული შპს „ფეხბურთის კლუბი-ლანჩხუთის გურია“ - ს (ს/ნ 433651461) 100 %-იანი წილის საპრივატიზებო პირობებს (დანართი N1), უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ ბეს ოდენობას (დანართი 2), ბიჯის სიდიდეს (დანართი 3) და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას (დანართი 4).

გთხოვთ განიხილოთ ეს საკითხი და დაავალოთ ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სესიაზე გასატანად.

დანართი: 15 (თხუთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ომარ ჯანაძე

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივეტიზებისას მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, დანართი N1-ში მითითებული პირობებით, განახორციელოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული შპს „ფეხბურთის კლუბი-ლანჩხუთის გურია“ - ს (ს/ნ 433651461) 100 %-იანი წილი) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზირება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

დანართი N 1

საპრივატიზებო პირობები:

ხელი შეეწყოს ფეხბურთის პოპულარიზაციას და განვითრებას, რაც გამოიხატოს ახალგაზრდული გუნდების, ჯგუფების, კლუბების, ახალგაზრდული ჯგუფებისა და გუნდების/კლუბების მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალის განვითარებასა და დაფინანსებაში, რაც უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ დადგენილი ვალდებულებებს, ასევე ქვეყანაში დამტკიცებულ პროგრამებსა და სტანდარტების მოთხოვნებს, გუნდების განახლება და შესაბამისი ჩემპიონატისთვის მომზადება.

მყიდველი ვალდებულია:

შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს (ს/კ 433651461) განვითარებისათვის მყიდველმა უნდა უზრუნველყოს 3 (წლის) წლის განმავლობაში ყოველწლიურად არანაკლებ 700 000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობით ინვესტირება (არ იგულისხმება ა(ა)იპ „ფეხბურთის განვითარების ფონდი“-დან სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი თანხები). შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს განვითარებისათვის ინვესტირების თანხა და ,,საპრივატიზებო პირობით'' დახარჯვა განახორციელეოს მომავალში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს ფეხბურთის (სპორტის) განვითარების სახელმწიფო პროგრამის არსებობის განმავლობაში ყოველწლიურად ორ ეტაპად. პირველი ეტაპი 1 ივლისამდე და მეორე ეტაპი 31 დეკემბრამდე.

კერძოდ:

1. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან ყოველი წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით და ყოველი წლის 31 დეკემბრამდე 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ოდენობით. თანხების არაუმეტეს 60% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და ბონუსებისათვის, არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

2. საქართველოს ფეხბურთის განვითარების პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში გააგრძელოს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს განვითარებისთვის თანხის ინვესტირება და ხარჯვა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპის ანალოგიურად.

3. საქართველოს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემთხვევაში შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს განვითარებისათვის მყიდველმა თანხის ინვესტირება უნდა განახორციელოს ყოველწლიურად არანაკლებ 700,000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით მითითებული პრინციპის ანალოგიურად, საიდანაც არაუმეტეს 60% მდე თანხა უნდა ჩაირიცხოს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და ბონუსებისათვის, არანაკლებ 20% უნდა დაიხარჯოს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს ამ პირობაში განსაზღვრული ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-სთვის ჩარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტები (საგადახდო დავალება) ვალდებულების დადგომის ბოლო დღიდან 3 დღეში.

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს საქართველოში ლიცენზირებული აუდიტის დასკვნა ამ პირობის და საპრივატიზებო პირობის/ების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ, რის შემდგომაც შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები ვალდებულების დადგომის ბოლო დღიდან წარმოადგინოს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ყოველწლიურად უზრუნველყოს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს საქართველოს ეროვნული ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის პირობების დაკმაყოფილება და შესაბამისი ლიცენზიის მოპოვება, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის საჭიროების შემთხვევაში.

7. მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვთა გუნდების ფუნქციონირება (წელიწადში არანაკლებ 100 ბავშვზე) უფასოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვების მიმართ, ასევე, საფეხბურთო სკოლა-აკადემიის ფუნქციონირება, ოფიციალური მატჩებისა და სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, ფიფას, უეფას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულებებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

9. საქართველოს ფეხბურთის (სპორტის) განვითარების პროგრამის განმავლობაში შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს მიღებული თანხები თუ ისინი მიღებულია სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პროგრამიდან ან შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს განვითარების თანხიდან არ გამოიყენოს ფეხბურთელის შესაძენად.

10. არ შეცვალოს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს სპორტული პროფილი ,,ფეხბურთი’’

11. მყიდველი ვალდებულია მიმდინარე წლის განმავლობაში კლუბში განახორციელოს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია (არ იგულისხმება ა(ა)იპ „ფეხბურთის განვითარების ფონდი“-დან სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი თანხები). , აიღოს პასუხისმგებლობა შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე კლუბის მიმართ მესამე პირთა მიერ წაყენებულ, მათ შორის ამ ეტაპზე აღიარებულ, დადასტურებულ ან/და აუღიარებელ, დაუდასტურებელ მოთხოვნებზე/ვალდებულებებზე, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრამდე გადაიხადოს წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებები საერთო თანხით 359 650,28 (სამას ორმოცდაცხრამეტიათას ექვსასორმოცდაათი ლარი და 28 თეთრი) ლარი.

12. მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საფეხბურთო კლუბმა შეასრულოს უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი საკლუბო ლიცენზირების სავალდებულო მოთხოვნები და სხვა სტანდარტები;

13. მყიდველი ვალდებულია ერთ-ერთი საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს 100% წილი, გაუმჯობესებული ქონება ყოველგვარი დავალიანების გარეშე დაუბრუნოს დაუყოვნებლივ შესაბამისი სარეგისტრაციო და სხვა საჭირო პროცედურების გავლის უზრუნველყოფის ჩათვლით, რის შემდგომაც გამყიდველი იმსჯელებს ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

14. მყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს.

15. მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს მართვის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად დაკმაყოფილებისა და მყიდველზე საკუთრების უფლების სრულად გადასვლის შემდეგ შეძენილი ქონების განკარგვის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია ახალ შემძენზე ქონება გაასხვისოს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს სპორტული პროფილი ,,ფეხბურთი’’-ს შენარჩუნების პირობით.

16. შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად დაფარვამდე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა პირობადებულ საკუთრებაში.

17. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

18. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ოქმით და ხელშეკრულებით სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

19. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების ოქმის გაუქმების საფუძვლად. კერძოდ, ერთ-ერთი საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველს შპს ,,ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს 100% წილი ყოველგვარი დავალიანების გარეშე დაუბრუნოს დაუყოვნებლივ შესაბამისი სარეგისტრაციო და სხვა საჭირო პროცედურების გავლის უზრუნველყოფის ჩათვლით, რის შემდგომაც გამყიდველი იმსჯელებს ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

20. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა შეძენილი ქონების საბოლოო/სრული ნასყიდობის ღირებულების დაფარვის შემდეგ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

21. თუ მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის ქონების საფასურს, აუქციონის შედეგები უქმდება, მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ

უბრუნდება შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

22. მყიდველს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

23. ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ, ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიკუთვნებული წილების და აქციების უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ ბეს ოდენობა

დანართი 2

N	მისამართი	ობიექტის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	საწყისი ღირებულება (ლარებში)	„ბე“-ს ოდენობა (80 %-ლარი)
1	ქ. ლანჩხუთი, თამარ მეფის ქუჩა N 35	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შპს „ფეხბურთის კლუბი-ლანჩხუთის გურია“ - ს 100 %-იანი წილი	433651461	34 000	27 200

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიკუთვნებული წილების და აქციების ბიჯის სიდიდე

დანართი 3

N	მისამართი	ობიექტის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	საწყისი ღირებულება (ლარებში)	ბიჯის ოდენობა (10%-ლარი)
1	ქ. ლანჩხუთი, თამარ მეფის ქუჩა N 35	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შპს „ფეხბურთის კლუბი-ლანჩხუთის გურია“ - ს 100 %-იანი წილი	433651461	34 000	3 400

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5003535622
02/06/2022

5003535622

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ
ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N30-302210265 მომართვის (ბიუროს 2022 წლის 27 აპრილის რეგისტრაციის N1002782722) საფუძველზე, გიგზავნით ექსპერტიზის N003568122 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5003535622

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 02.06.2022 (ხელმოწერა) ბ.ა

003568122

ექსპერტის დასკვნა № 003568122

გაფრთხილება

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

თანამდებობა: მერი

მისამართი:

სახელი და გვარი: ალექსანდრე სარიშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ლუიზა ბიწაძე / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის ფინანსური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 7 წლამდე სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული ბიზნესის შემფასებლის შესაბამისობის სერტიფიკატი B-0053

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, მოახდინოთ ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული შ.პ.ს. „ლანჩხუთის გურია"-ს ს/ნ 433651461 კუთვნილი არამატერიალური აქტივის -100%-იანი წილის შეფასება.

შემოსვლის თარიღი: 27/04/2022 წ

გასვლის თარიღი: 02/06/2022 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის და კვლევით ნაწილში ასახული დაშვებების/გარემოებების გათვალისწინებით, შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია"-ს (ს/ნ 433651461) 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2022 წლის 30 აპრილის მდგომარეობით შესაძლებელია განისაზღვროს საორიენტაციოდ 34 000 ლარის ოდენობით.

ლუიზა ბიწაძე

გამოკვლევა

ექსპერტი გაეცნო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მომართვას, საქმეში არსებულ მასალებს და დადგენილია შემდეგი:

003568122

- შესაფასებელი ობიექტი და შეფასების თარიღი

შპს ფეხბურთის კლუბი „ლანჩხუთის გურია"-ს 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2022 წლის 30 აპრილის მდგომარეობით.

- შესაფასებელი ობიექტის მოკლე მიმოხილვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2020 წლის 1 სექტემბერს.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ლანჩხუთი, თამარ მეფის ქ., №35

საზოგადოებას მინიჭებული აქვს საიდენთიფიკაციო კოდი №433651461.

საზოგადოების 100%-იანი წილის მესაკუთრე საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, 233730139.

ძირითადი საქმიანობა: საფეხბურთო საქმიანობა.

შპს ფეხბურთის კლუბი „ლანჩხუთის გურია" (შემდგომში - კლუბი) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ტ" ქვეპუნქტის საფუძველზე ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილი ე.წ. სპორტული მემკვიდრეობის პრინციპების დაცვით ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ :ლანჩხუთის გურიას" ჩანაცვლების მიზნით.

თავის მიზნის მისაღწევად საფეხბურთო კლუბი:

ა) ამზადებს ნიადაგს ბავშვთა საფეხბურთო გუნდების ფუნქციონირებისათვის;

ბ) აწყობს პრეზენტაციებს, აქციებს;

გ) აწყობს სპორტული მიღწევების გამოფენებსა;

დ) ქმნის სპორტულ ბიბლიოთეკებს;

ე) მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ორგანიზაციულ პროგრამებსა და კონკურსებში. გამოდის პროგრამებისა და კონკურსების ინიციატორის როლში;

ვ) ეწევა სხვა სახის საქმიანობას, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

/იხ. შპს ფეხბურთის კლუბი „ლანჩხუთის გურიას" წესდება/

ექსპერტიზაზე ასევე წარმოდგენილია, 2022 წლის 2 თებერვლის თარიღით შედგენილი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსა და შპს ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება №22-ლ3-ს-გურ-001 (სუბსიდიის გაცემის შესახებ).

1.1. ხელშეკრულების საგანია, „ქვეპროგრამის „ქართული ფეხბურთის განვითარება" დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის №2568 ბრძანებისა და ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (შემდგომში - სფფ) 2022 წლის 31 იანვრის №17 წერილის საფუძველზე, ფონდის მიერ კლუბის ღონისძიებებისა და სხვადასხვა ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფა, სფფ-ს ეგიდით ორგანიებულ, ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში (შემდგომში - ჩემპიონატი) მონაწილე გუნდებისთვის განსაზღვრული საბაზისო დაფინანსების სახით.

1.2. დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯები, რომელიც გაწეული უნდა იქნას კლუბის მიერ, ამ ხელშეკრულების მოქმედების

ერიოდში, მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

1.1. ფონდი იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს 2022 წლის I კვარტალში კლუბისთვის 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის გადარიცხვა, ამ ხელშეკრულების პირველ მუხლშიმითითებული ღონისძიებებისა და სხვადასხვა ხარჯების ცალ-ცალკე დაფინანსების მიზნით, გასაწევი ან/და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების გათვალისწინებით.

/იხ. ხელშეკრულება №22-ლ3-ს-გურ-001/

ექსპერტიზაზე ასევე წარმოდგენილია, 2022 წლის 29 მარტის თარიღით შედგენილი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსა და შპს ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება №22-ლ3-ს-გურ-002 (სუბსიდიის გაცემის შესახებ).

1.1. ხელშეკრულების საგანია, „ქვეპროგრამის „ქართული ფეხბურთის განვითარება" დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის №2568 ბრძანებისა და ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (შემდგომში - სფფ) 2022 წლის 31 იანვრის №17 წერილის საფუძველზე, ფონდის მიერ კლუბის ღონისძიებებისა და სხვადასხვა ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფა, სფფ-ს ეგიდით ორგანიებულ, ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში (შემდგომში - ჩემპიონატი) მონაწილე გუნდებისთვის განსაზღვრული საბაზისო დაფინანსების სახით.

1.2. დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯები, რომელიც გაწეული უნდა იქნას კლუბის მიერ, ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.1. ფონდი იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს ეტაპობრივად კლუბისთვის 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარის გადარიცხვა, ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული ღონისძიებებისა და სხვადასხვა ხარჯების ცალ-ცალკე დაფინანსების მიზნით, ხელშეკრულების დანართ №2-ით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის მიხედვით, გასაწევი ან/და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების გათვალისწინებით.

/იხ. ხელშეკრულება №22-ლ3-ს-გურ-002/

- შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:

1. მოცემული დასკვნა მოიცავს ექსპერტის პროფესიონალურ აზრს მის მიერ დადგენილ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში /კომპანიის წილის საბაზრო ღირებულება/ და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება გაყიდული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით.
2. კვლევის ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ შესაფასებელი კომპანიის წილის საბაზრო ღირებულების განსაზღვრაზე. ექსპერტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე;
3. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები, რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით.
4. ექსპერტის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. ექსპერტი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი კომპანიის წილის საბაზრო ღირებულებაზე.

- ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის კვლევა

საქმეში წარმოდგენილია, შპს „ფეხბურთის გუნდი ლანჩხუთის გურია"-ს ბალანსის ფორმა (ფორმა №1) 2022 წლის 30 აპრილის მდგომარეობით. აღნიშნული ბალანსის მიხედვით, კომპანიის ერიცხება აქტივები სულ 42 307,98 ლარის ოდენობით, კერძოდ: ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტრები - 334,91 ლარი, მარაგები/სხვა - 20 010 ლარი, სხვა ძირითადი საშუალებები -

963,07 ლარი.

ეც შეეხება ვალდებულებებს, კომპანიას ერიცხება ვალდებულებები სულ 359 650.28 ლარის ოდენობით, კერძოდ: სავაჭრო ალდებულებები - 121 435.62 ლარი, ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ - 197 961,90 ლარი, საგადასახადო ალდებულებები - 40 252,76 ლარი.

მასთან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია"-ს (ს/ნ 433651461) ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონება არ გააჩნია და ახვა კომპანიებში წილს არ ფლობს.

ასევე გვეცნობა, რომ 2022 წელს საფეხბურთო კლუბი „ლაჩხუთის გურია" წარმოადგენს მესამე ლიგაში მოთამაშე გუნდს.

2022 წლის განმავლობაში ააიპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან" საბაზისო დაფინანსების სახით შპს საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის გურიას მისაღები აქვს ჯამურად 250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი. აქედან , 2022 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, მიღებული აქვს 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი.

საფეხბურთო კლუბის 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულების დადგენისას ექსპერტის მიერ გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებები და დაშვებები:

1) მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, 2022 წელს კლუბის მისაღები საბაზისო დაფინანსება (2022 წლის მაისიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, ეტაპობრივად) შესაბამისად შეადგენს 160 000 (250000-90000) ლარს.

2) ბალანსზე რიცხული აქტივები სულ 42 307.98 ლარის ოდენობით.

3) ბალანსზე რიცხული ვალდებულებები სულ 359 650.28 ლარის ოდენობით.

4) ბიუროს მიერ ჩატარებული მსგავსი საექსპერტო კვლევები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია" ს (ს/ნ 433651461) ვალდებულებები აღემატება მის აქტივების ღირებულებას. აქედან ფამომდინარე შეფასებისას გამოყენებულ იქნა საბაზრო მიდგომა, რომლის ძირითადი წინაპირობაა მსგავსი ფინანსურეი მაჩვენებლების მქონე კომპანიების შედარება. მსგავსი კომპანიების შესახებ ინფორმაცია აღებულ იქნა ბიუროს მიერ ჩატარებული საექსპერტო კვლევებიდან და მათი კორექტირებთ მიღებულ იქნა შესაფასებელი კომპანიის საბაზრო საორიენტაციო ღირებულება.

- შეფასების შედეგები

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის და ზემოთ აღნიშნული დაშვებების/გარემოებების გათვალისწინებით შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია"-ს (ს/ნ 433651461) 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 2022 წლის 30 აპრილის მდგომარეობით შესაძლებელია განისაზღვროს საორიენტაციოდ 34 000 ლარის ოდენობით.

ლუიზა ბიწაძე

003568122

ექსპერტის დასკვნა № 003568122

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: შოთა ივანაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნღების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ხელონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების სანდალიფიკაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს ურთიერთობები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ყველის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს რადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

3003589822

მიღება-ჩაბარების აქტი № 3003589822

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	02/06/2022

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1002782722	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	27/04/2022	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:		ხელშეკრულების თარიღი:	
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	003568122		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	ალექსანდრე სარიშვილი
პირადი ნომერი:	
ორგანიზაცია:	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი:	233730139
თანამდებობა:	მერი
დოკუმენტის შემომტანი:	დავითი დანელია

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)	თანხა
434. - სხვა სახის ექსპერტიზა	1	1000	1000
			ჯამი: 1000.00
			საბოლოო ფასი: 1000.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):		
ლუიზა ბიწაძე ფინანსური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი		

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
(ხელმოწერა)	ასარიშვილი (ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი 03/06/2022

საჭიროა ანგარიშ-ფაქტურა